საქართველოს მთავრობის
დადგენილება

№ 419 2019 წლის 30 აგვისტო ქ. თბილისი

„გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, „გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №17 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 10/01/2014, 300160070.10.003.017608) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებულ ტექნიკურ რეგლამენტს „ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დამაბინძურებელი საქმიანობებისთვის“ (დანართი №3) დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 და მე-8 პუნქტები:

„7. ატმოსფერული ჰაერის დამაბინძურებელი საქმიანობა – ხის ნახშირის წარმოება დასაშვებია შემდეგი პირობების დაცვით:

ა) ხის ნახშირის წარმოება შეიძლება განხორციელდეს სტაციონარულ ობიექტში (დანადგარში);

ბ) გაფრქვევის წყაროს სიმაღლე მიწის ზედაპირიდან უნდა იყოს არანაკლებ 5 მეტრისა, ხოლო გაფრქვევის მილის სიმაღლე – არანაკლებ 2 მეტრისა;

გ) სტაციონარული ობიექტის (დანადგარის) დაშორება საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობებიდან, ასევე პარკებიდან, სკვერებიდან ან/და ბაღებიდან უნდა იყოს არანაკლებ 300 მეტრისა.

8. მე-7 პუნქტის „ა“ – „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, ხის ნახშირის სტაციონარული ობიექტის (დანადგარის) საქმიანობა ექვემდებარება შეჩერებას, ამ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანამდე.“.

მუხლი 2. ამ დადგენილების ამოქმედებამდე არსებულმა ხის ნახშირის მწარმოებელი სტაციონარული ობიექტის (დანადგარის) მფლობელებმა 2020 წლის პირველ მაისამდე უზრუნველყონ სტაციონარული ობიექტის (დანადგარის) ამ დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა.

მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**